№ 204

ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 204

ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მ. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, სოფელ ბაკურციხის წმინდა გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

**კნეინა ეკატერინე ივანეს ასუ-ლის ვაჩნაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ.** (2—187—2).

**აბრეშუმის ქსოვილები**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.
(50—ნ.—24) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

**ქ უ თ ა ი ს შ ი**

ს ა ვ ა ჭ რ ო ს ა ხ ლ ი

**„ი. გოკიელოვის შვილები“**

რადგანაც წელს **მოწაფეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შემზადება ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვექნება უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—8)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე
კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, (ყვავილის აცრა) და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ვ. გ. წერეთელი**—შ ნაგანი და ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**ა. ნ. ზატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

*** ორშაბათს, 18 სექტემბერს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა ახალქალაქის მაზრის მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარებელ ტფილისის უმთავრესს კომიტეტს. როგორც სხდომაზედ გამოირკვა, 18 სექტემბრამდე უმთავრესს კომიტეტს ჰქონია სულ 206,716 მან. 79 კაპ., ხოლო ახალქალაქის ადგილობრივ დამხმარე კომიტეტს 16,313 მან. 63 კაპ. სულ 223,030 მან. 42 კაპ. დახარჯულა სხვა და-სხვა საჭიროებისათვის 82,132 მან. 51 კაპ., ასე რომ თავისუფალი ხარჯს გადარჩენილი ფული ექმნება კომიტეტს სულ 140,897 მან. 91 კაპ. კომიტეტმა ამ სხდომაზედ, სხვათა შორის, დაადგინა ეხლავე იქმნეს მოხდენილი განკარგულება, რომ ახალქალაქის ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ზომები მიიღოს ბორჯომიდგან შენობებისათვის მზა ხე-ტყის მასალის გადმოსაზიდად; ამასთანავე გაიცეს იჯარით მიწის ძვრისაგან უფრო დაზარალებულ ობლებისა და დასახიჩრებულთათვის შენობების აგების საქმე; აგრეთვე აიგონ ხის შენობა დროებით სასოფლო სამკურნალო ქსენონისათვის, ვიდრე ამისათვის ახალი სადგომი გაკეთდებოდეს, და როდესაც ქსენონის დროებითი შენობა საჭირო არ იქმნება, იგი მცხოვრებლებს დაეთმოს სასოფლო კანცელარიის მოსათავსებლად. ყველა ამ დადგენილებათა გან ახორციელებლად კომიტეტმა დაადგინა ამოირჩიოს მცირე კომისია ახალქალაქის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით; კომისიის წევრებად იქმნებიან ახალქალაქის მაზრის მომრიგებელ-შუამავალი ბ-ნი ა. ყიფშიძე და კომიტეტის წევრნი ტეხნიკოსები.

*** გუშინ, 19 სექტემბერს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის

## ფელეტონი

### მცირე შენიშვნა წარმართ ივერთა შესახებ.

როგორც სჩანს „ივერიაში“ დაბეჭდილ ფელეტონებიდგან *), ბ-ნი პეტრე მირიანაშვილი, მამულის სიყვარულით აღგზნებული, შესდგომია ჩვენ წინაპართა წარმართულის ცხოვრების შესწავლასა და საგულდაგულოდ ეძებს ჩვენს „ქართლის ცხოვრებაში“, თუ რა სარწმუნოებისანი იყვნენ და როგორ ჰმსახურებდნენ მას? კარგი და პატიოსანი! მაგრამ გვაქვს განა „ქართლის ცხოვრება“ ისე კარგად შედგენილი და შემუშავებული, რომ შიგ იშოვებოდეს რიგიანი და ფარსაგი მოთხრობანი, სხვა-და-სხვა ცხოველის სურათებით შემკულ-განშვენებული, რათა გამოვიტანოთ იქიდამ ჩვენის საძიებელის საგნის შესახებ რაიმე აზრი?.. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ მეტად მოკლეა, მეტად უძლური და დამახინჯებული და რაც არის, ისიც მეტად არეულ-დარეულია და გაფუჭებული განგებ სხვათა ერთაგან. რა უნდა დავასკვნათ ამისთანა მატიანიდგან?

ავიღოთ უმთავრესი საგნები. ბ-ნი პ. მირიანაშვილი სწერს:

„მამასახლისების დროს ქართველნი თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ხუთს ვარსკვლავს, მაგრამ თავიანთ მამამთავრის ქართლის სახელს, როგორც ღვთისას, ისე ჰფიცულობდნენ... უფრო განვითარებული ჰქონიათ ჩვენ წინაპარ ურართა თემსა, რომლის თაყვან საცემ სამებას თურმე შეადგენდნენ ღმერთები: უმთავრესი ხალდი (მთვარე), შემდეგ ბინ (ბრწყინვალე ცა) და მას უკან შამაშ (მზე)“.

თუ ჩვენი წინაპარნი ურარნი თაყვანს სცემდნენ ქალდს, ცას და მზეს, მაშ ქართველთაც ის ჰქონიათ სათაყვანო სარწმუნოებად, მხოლოდ ცოტა გადასხვაფერებით, ცის მაგიერ ხუთი ცთომილი ვარსკვლავი უნდა იყოს; მზე და მთვარე ხომ ისევ იგივეა. აქ რჩება გასარჩევი ქართლი და ხალდი. ამ ორივე ლექსის ძირი ერთია. სჩანს, ჩვენ წინაპართ ქალდი ქართლად გადაუკეთებიათ და მისთვის ქართლის სახელს ღვთის სახელივით ჰფიცულობდნენ?.. ესეც რომ არ ყოფილიყო, ხომ მთვარეც ქალდის სახელის მნიშვნელი იყო. აქ გახლავთ სწორედ ავ კარგის გაურჩევლობის წყვდიადი... მთელი საღმრთო წერილი, ქსენეფონტე და სხვა ისტორიკოსნი ცხადად ამბობენ, რომ ქალდეველნი კავკასიის ერნი იყვნენ, ებრაელნიც ქალდეველთაგანნი იყვნენ, ჩვენ კი ძველის ძველადვე მათთან ერთ-ტომობას უარ-ვყოფთ მიუმხვდარობით და გავიძახით, თითქო ჩვენ ცალკე სხვა ტომს შევადგენდეთ. ჭანებს თუ ლაზებს ბერძნები და ევროპიელნი ხალდებად ასახელებენ. დღეს გვჯერა და კიდეც ვამტკიცებთ, რომ ლაზები (ჭანები) ჩვენის ტომისანი არიან! მაშ თუ ჩვენი ტომისანი არიან, ქართველები და ქალდეველნიც ერთი და იგივე ტომი ყოფილა. მაშ რაღად გავრბივართ მთა-მთა, შორი-შორს და ვიბნევით გზა-კვალ დაკარგულსავით?

ხალდის სათავე იწყო წარღვნის წინა დროებიდგან, როგორც უმრავლესის კერპებისაცა. ვარსკვლავთმრიცხველობის მეცნიერება მისი შემოღებულია. მისნი შთამომავალნი და მისის სწავლის მიმდევარნი იწოდებოდნენ ქალდეველებად, მათგან შემოვიდა ცის მნათობთ მსახურება და მერე ამას კერპთ მსახურება მოჰყვა.

ბ-ნი მირიანაშვილი სწერს: „ძველ ქართველებსაც ჰყოლიათ თავიანთ საკუთარი ღმერთებიცა. ამათში უდიდესი და უპირველესი იყო ბოჩი... ბოჩის შვიდი ხელი ესხა... ნიშნავდა თარგამოს შვიდ ჩამომავალსათ“!.. ნოეს შვილს იაფეთსაც შვიდი შვილი ჰყავდა, ბოჩის შვიდი ხელი რად უნდა ნიშნავდეს თარგამოს შვიდ ჩამომავლობასა და არ უნდა ნიშნავდეს იაფეთის შვიდის შვილის მოდგმასა. „განავრცენ ღმერთმან იაფეთ და დაემკვიდრენინ საყოფელთა შინა სემისთა და იქმენი ქანან მონა მისსა“. შესაქ. თ. 27“. ბოჩს ადარებს იგი ინდოელების ქალღმერთს ვოქსსა. ეს ქალ-ღმერთი ჩვენს წინაპართ ვაჟად მიუღიათ და ისე უმსახურიათ. „ბოჩი“ სხვა არა იყო-რა, თუ არ ბედ-იღბალი, რომ უწოდნენ მბოძს (მომნიჭებელს). ჩვენნი წინაპარნი ბევრგან მტრებზედ გამარჯვების ნიშნად ქვის სვეტებს სდგამენ. ასე იყო მთა აბოცს, ბოძხევს და სხვაგანაც. ყველა ღმერთების წინამძღვარი მბოძი იყო (სვებედი), იგივე არმაზისაცა და ეს მბოძი წამხდარის ენით ბოჩად თქმულა მთიულთ ხალხში. ასახელებს სჯულის კანონში ჩვენი მამა ევთიმი ასრე: „სრულიად მოისპენ დიოს, აპოლონ, არტემი, ბუჩი და გაცი და ზანტაი და გაი და გეონ და არმაზ“. ნბ.

ჩვენ ქართველნი მესხნი სრულიად არა ვართ თარგამას ჩამომავალნი, როგორც შეცდომით ჰგონია ჩვენს ქართლის ცხოვრებას: მთელის ჩვენის ისტორიის ამღვრევის სათავეც სწორედ ეს არის. მრავალი ჩვენი ისტორიკოსი შეუცდენია და ჩვენც იმათ ნაირადვე ვცდებით!.. ჩვენ ნოეს შვილის იაფეთის ჩამომავალნი ვართ: აგერ მისი შვილები გამერ, მაგო, მადა, ავან, თუბალ, მოსოქ, და თირას *). ქართველები თუბალისაგან და მესხები მოსოქის ჩამომავალნი არიან; ამ ორ ძმათა შვილებს თავითგანვე ურთიერთის მიმხრობით სიყვარულითა და ერთობით ერთი ენა, ერთი ზნე-ხასიათი შეუთვისებიათ, ერთად უომნიათ მტრებზედ

*) იხ. „ივერია“ №№ 167, 168, 171.

*) ნახეთ ჩემი ქართლის ცხოვრება 1882 დაბეჭდილი ტფილის. III. 32—33... გვერდი, თუნდა ვენნაში დაბეჭდილი საქვეყნო ისტორია 1849. მხითარისტ მ. ყაფრიანისა,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მთავარ-მართებელი არავითარს დამაბრკოლებელ მიზეზს არა ჰხედავს იმისას, რომ გამგეობა პირობით შეეკრას მეაქციეთა საელექტრონო გელიოსის ფირმის საზოგადოებას ქალაქის ელექტრონით განათების შესახებაო.

*** ხუთშაბათს ქალაქის გამგეობაში კრება ექმნება ქალაქის გამგეობის და საფინანსო კომისიის წევრთა, რომელთაც უნდა განიხილონ ის საგანი, თუ როგორ იდღესასწაულოს ქალაქმა საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან ასის წლის შესრულების დღე.

*** სამშაბათს, 19 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე სიღნაღის მაზრის სოფელ ზემო-მაჩხაანის მცხოვრების ნოდარ ჯამალაშვილისა. ჯამალაშვილს ის დანაშაული ჰბრალდებოდა, რომ მან 1899 წლის დეკემბრის თვეში მოჰკლა თავისის ცოლის დას ანა ნასრაშვილთან უკანონოდ შეძენილი ქალი, რათა ამით თავისი დანაშაული დაეფარა. პირველად ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ, რომელმაც დამნაშავედ იცნო ჯამალაშვილი და გარდაუწყვიტა 8 წლის ვადით კატორგაში გაგზავნა. გუშინ სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო საჩივარი ჯამალაშვილისა და ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

*** „მთავრობის კანონდებათა და განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია, რომ სუხუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წესდება დამტკიცებულია.

*** რკინის გზის უწყებაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ფას-ნადებ გარდასახდელ ფულის გაგზავნის დროს, თუ რომ 2,500 მან. აღემატება, საკომისსიო გარდასახადს დააკლდეს რამე.

*** რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენლების მახლობელს კრებაზედ, რომელიც 5 ოქტომბრისათვისა აქვთ განზრახული მოიწვიონ, უნდა მოილაპარაკონ და გადასწყვიტონ, თუ რა შეღავათიან ტარიფით უნდა იქმნენ ხოლმე რკინის გზით გადაყვანილნი ის კეთროვანნი, რომელთაც სხვა და სხვა საზოგადოებანი და საადმინისტრაციო დაწესებულებანი ჰგზავნიან ლეპროზორიაში (კეთროვანთა საავადმყოფოში) სამკურნალოდ. განზრახვა აქვთ ამ ავადმყოფთათვის და მათ გამცილებელთათვის განსაკუთრებული III კლასის ვაგონები იქონიონ და ფასი-კი იმდენი გადაახდევინონ, რამდენი ადამიანიც შიგ იქნება და არა იმ წესით, როგორც ჩვეულებრივ არის მიღებული დანარჩენ მგზავრთათვის, ე. ი. მთელის ვაგონისა.

*** სასჯულო საქმეთა სამინისტროს მალე წარუდგენენ ცნობებს იმის შესახებ, თუ ჩრდილო-კავკასიის მცხოვრებნი რამდენად განვითარებულნი და მომზადებულნი არიან იმისთვის, რომ ნაფიც ვექილთა სამართალი იქმნას იმათში შემოღებული.

*** როგორც წარსულ მაგალითებიდგანა სჩანს, რუსეთის უცხო ერთა მილიონერები შვილებს რუსეთის სკოლებში იშვიათად აძლევენ, რადგანაც აღნიშნულს სკოლებში ადგილობრივს ენებს არ ასწავლიანო, — სწერს პეტერბურგის გაზეთი „Новости“. ამისათვის, როგორც შევიტყეთ, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება ხელი შეუწყოს, რომ უცხო ერთა შორის სამშობლო ენის სწავლება გავრცელდეს და ამ აზრით კიდევაც განუზრახავს რუსეთის განაპირა ადგილებში დააარსოს სკოლები, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა შვილები რუსულსაც და სამშობლო ენას ერთნაირად შეისწავლიანო.

*** გზათა სამინისტრომ რკინის გზის სადგურების ბუფეტების მდგომარეობას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და საჭიროდა სცნო, დროგამოშვებით უთუოდ გასინჯონ ხოლმე ბუფეტების სამზარეულო: მოძრაობის რევიზორებმა, გზის ნაწილის უფროსებმა, წელიწადში ერთხელ მაინც არის რკინის გზის უფროსებმა და მათმა მოადგილეებმა, ხოლო სადგურების უფროსებმა უთუოდ ყოველ-დღე სინჯონ ხოლმე და თვალ-ყური ადევნონ.

*** გამოცხადდა ახალი წესი კავკასიის რკინის გზისათვის, რომ მგზავრებს ამიერიდგან ბილეთები აღარ ჩამოართვან ხოლმე და კონდუქტორებმა ადრევე გადმოიწერონ ხოლმე მხოლოდ ბილეთების №№-ები, რომ ღამე კანტროლის დროს მგზავრები ხშირის გამოღვიძებით არ შეაწუხონ.

*** რადგანაც უმაღლესის განკარგულებით დამნაშავეთა ციმბირში გადასახლება გაუქმებულია და რუსეთის ყველა საპატიმროებსა და პატიმართა გამსწორებელს განყოფილებებში ამის გამო დიდი სივიწროვეა, მთავრობას განზრახვა აქვს ყველა საპატიმროები და პატიმართა განყოფილებანი გაადიდოს.

*** უმაღლესად დამტკიცებულია მოხსენება საერო განათლების მინისტრისა იმის შესახებ, რომ დედათა გიმნაზიებისა და პროგიმნაზიების მოსამზადებელს კლასებში მასწავლებლებად მიიღონ ხოლმე აგრეთვე ქალაქის სამრევლო სკოლების მასწავლებლები და სამსახურში ისეთივე უფლებანი მიეცეთ პენსიისა, როგორიც 1828 წ. 8 დეკემბრის წესდებითა აქვთ სამრევლო სასწავლებლების მასწავლებლებს მინიჭებული, ხოლო მასწავლებელ ქალებს იგივე უფლებანი, რაიცა პირველ დასაწყის სასწავლებლების მასწავლებელ ქალებსა აქვთ.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში საკმაოდ კარგი დარები დაიჭირა.

*** ახალ-სენაკი. ამ დღეებში ახალ-სენაკიდან მიმავალს რომანოზ ხურციას სენაკიდგან რამდენისამე ვერსის მანძილზედ მძარცველნი დაუხვდნენ საზოგადო გზაზედ საღამო ჟამს და ფულის თხოვნა დაუწყეს. პირველად ხურცია ვერ დაიმორჩილეს, მაგრამ შემდეგ იარაღით სტანჯეს, არ მოეშვნენ იქამდე, ვიდრე 114 მანეთი არ ამოაცალეს. ეს ამბავი ადგილობრივ პოლიციას აცნობეს.

*** ღ. ზუგდიდი. ს. ობუჯიდან ზუგდიდში მიმავალს ი. ფიფიას ზუგდიდიდგან მეორე ვერსის მანძილზედ წაართვეს 25 მ. ფული და სმიტისა და ვესონის რევოლვერი; ს. ჯანქვინჯის მახლობლად ნამამასახლისარს გვარად ტიბუას დაეცნენ თავისს სახლში და ბერდანკები დაუშინეს; ტიბუა სახლიდგან გამოვარდა თავსაშველად, მაგრამ საბრალო უცბად გამოასალმეს წუთი სოფელს; მივარდნენ ამის შემდეგ მტარვალები და ტყვიით მოკლულს ყელი გამოსჭრეს. ამბობენ, ერთი იმ ყაჩაღთაგანი მოკლულ ტიბუას მიზეზით იყო გადავარდნილიო.

10 სექტემბერს, შუადღისას, ზუგდიდში უნებურად რევოლვერით დაიჭრა სასიკვდილოდ ზუგდიდის მცხოვრები უ. ჟუჟუნია, რომელმაც ერთი საათი და იცოცხლა. ჟუჟუნიას მეზარნიშე გ. მიქავასთან რევოლვერი თურმე მიუტანია გასაწმენდად, რომელშიაც ტყვია უოფილა ჩარჩენილი. როცა გაწმინდა მიქავამ, უჩვენა თურმე პატრონს, აი რა კარგად გავწმინდეო. სინჯვის დროს რევოლვერი უცბად გავარდა და ჟუჟუნიას მოჰხვდა; საქმე სწარმოებს.

*** სოფ. მცხეთა. ორშაბათს, ამ თვის 18-ს, მცხეთის ფოსტის სადგურის სამჭედუროს ცეცხლი მოეკიდა. ის სახლი, რომელშიაც სამჭედურო მოთავსებული და ფოსტის ცხენები უბიათ, ფიცრულია და ალიზით გალესილი. ცეცხლი შენიშნეს 8 საათზედ. მაშინვე შეუდგნენ იქაურობის დაცალიერებას, გამოზიდეს ჯერ მეეტლეთა ავეჯეულობა და ტანთ-საცმელი, ეტლების შესაბმელი მორთულობა; თან ცხენებიც გამოჰყვანდათ. რაც ეტლები იყო, სულ გარეთ გამოიტანეს. მცხეთის ბოქაული, გაიგო თუ არა ფოსტის სადგური იწვის, მაშინვე მოვიდა და ცეცხლის მქრობელთ პირადად აძლევდა განკარგულებას. რკინის გზის სადგურიდგან ცეცხლის საქრობი მაშინა მოიტანეს, მაგრამ დააგვიანეს, რადგან ცეცხლითა და ბოლით იყო შეპყრობილი სამკუთხივ შენობები და საშინელი ცეცხლის კორიანტელი ადიოდა ცაში. ამის გამო გადარჩენა შეუძლებელი და შეიქმნა და სულ გადიბუგა. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

*** ამ დღეებში კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგინა თავისს პრეზიდენტს კავკასიის მთავარმართებელს თავ. გოლიცინს ვრცელი მოხსენება იმის შესახებ, თუ დღემდე საბჭომ რა გააკეთა მომავალ 1901 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობა მომართვისათვის.

*** ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, ქალაქს გამგეობის დარბაზში კრება ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელიც განიხილავს ქალაქ ტფილისის სკოლებისათვის შენობების აგებისა, კომისიის თავმჯდომარისათვის კანცელარიის მოწყობისა და სხვა საქმეებს.

## ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის ქუთაისში მიბრძანება.

ამ თვის 16, შაბათს, ქსნის სადგურზედ განსაკუთრებული ვაგონი მიართვეს ქუთაისის ეპისკოპოსს ყოვლად-უსამღვდელოესს ლეონიდს. ამავე მატარებლით გაჰყვნენ ეპისკოპოსს გასაცილებლად ტფილისის სამღვდელოებისა და სინოდის კანტორის წარმომადგენელნი. ტფილისიდგან წამოსულთ მათ მეუფებას მშვენიერი ჩუქურთმიანი წმ. ნინოს ხატი მიართვეს და მღვდელმა პოლიევქტო კარბელაშვილმა გამოსათხოვარი სიტყვა მოახსენა ტფილისის სამღვდელოთა სახელით. გორის სადგურზედ მათს მეუფებას დაუხვდა სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი მასწავლებლებითურთ და ლოცვა კურთხევა აიღეს. რიონის სადგურზედ ქუთაისისა და სხვა სოფლების სამღვდელოება მიეგება. ქუთაისის სადგურზედ დილის რვა საათისათვის მთელი სამღვდელოება შეიკრიბა; ბევრნი პროვინციებიდგანაც მოსულიყვნენ. უკვე რვა საათს გარდაცილებული იყო, რომ მის მეუფებასთან სადარბაზოდ ვაგონში ამოვიდნენ ქუთაისის გუბერნატორი და ქუთაისის თავად-აზნაურობის მარშლის მოადგილე თავადი ნიჟარაძე. სადგურზედ ჯერ გუბერნატორი და თ. ნიჟარაძე გამოვიდნენ და შემდეგ ყოვლად-სამ-

---

და ერთსავე მხარეს უცხოვრიათ ურთიერთის ახლო მოსაზღვრედ.

ბ-ნი პ. მირიანაშვილი სწერს: „ფარნავაზ პირველმან შემოიღო კერპი არმაზი, აუშენა ტაძარი ქართლის საფლავზედ და იქ დადგა გაცისა და გაიმის კერპებს შუა, რომელიც ერთი ოქროსი იყო და მეორე ვეცხლისა. არმაზი-კი სპილენძისა იყავნ: „თუ ფარნავაზმან შემოიტანა პირველად არმაზის კერპი, გაცი და გაი ვილამ შემოიტანა, თუ იმათ შუა დაიდგა არმაზი, ამათ წინადვე ჰქონიათ ტაძარიცა და ბომონიცა? თუ მარტო არმაზის მთა დაერქვა ქართლოსის სამარხ სამარეს, ისიც ფარნავაზ პირველ მეფის დროს, აბული ვილამ უწოდა ჯავახეთის მთას აბულონის სახელობაზედ? არსიანის მთა ვილამ უწოდა ფოცხევსა და არტანს შუა არისის სახელობაზედ? ფერსათის მთა ვილამ მოიგონა იმერეთსა და სამცხეს შუა პერსეოს სახელობაზედ? აგრეთვე ართვინი არტემის სახელზედ, (ესენი არმაზის შვილებად ითვლებოდნენ), ასევე ვინ დაარქვა იმერეთის მდინარეს რიონი რეას სახელობაზედ, რომელიც ცოლი იყო კრონოსი და დედა მშობელი არმაზისა? ვინ უწოდა ჩილდირის ტბას პალდაკაცია? ვინ დაარქვა ოცხის მთებს დადო (მიწის ღმერთა)? მდინარე მტკვარს კური (მზე)? კავკასიის მთაში თეში თემსის სახსოვრად? გურგანის ზღვის პირ მდებარე ქალაქს ბაქო, ბახუსის მოსაგონებლად და სხვანი? აქედგან ცხადად სჩანს, ჩვენის მიწა წყლის გეოგრაფიულ სახელწოდებაში უფრო მრავალი ცნობა ყოფილა, ვიდრე ქართლის ცხოვრებაში“!

ჩვენის ქართლის ცხოვრების მიხედვით ბ-ნი მირიანაშვილი ვითომ უარ-ჰყოფს ქალ-ღმერთებს. ამბობს: „ჩვენი მითოლოგია ბერძნულივით როდი ჰყოფს ღმერთებს ვაჟებად და ქალებად... არმაზი ვაჟი იყო, გაცი და გაიმიც ვაჟები იყვნენ, ბოჩიც ხომ ვაჟად მიღებული იყოვო; მაშ ქ. აწყურის ტაძარში მყოფი არტემი და აპულონი ქალ-ღმერთები არ იყვნენ, იმათსას რატომ არას ამბობს? ან ანდრია მოციქული რომ გადმოვიდა ოცხის მთიდგან „ჩავლო ოცხის ხევი და დაივანახადენ გორას, იხილა რამეთუ კაცნი მას ადგილისანი უზორვიდეს კერპთა ყრუთა და ილოცა წმიდისა მის ხატისა მიმართ და ყოველნი იგი კერპნი დაემხვნეს და შეიმუსრნეს“! (ქართლის ცხოვრების, მე-40 გვ.) ეს რად დარჩა შეუნიშვნელი, რატომ არა ჰხსნის ამ კერპსაც, რანი იყვნენ? — ყველა ესენი დედაკაცისაგან ნაშობნი იყვნენ და არა კლდიდგან გამომძვრალნი. თუ ვაჟნი გაეღმერთებინათ უთუოდ ქალნიც იქმნებოდნენ გაღმერთებულნი ვაჟებსავით. თუ საბერძნეთიდგან შემოსულიყვნენ ჩვენში ბერძნების კერპები, როგორც თქვენ გგონიათ, ვაჟებთან ქალებიც იქმნებოდნენ უეჭველად; ამას ამტკიცებს არა მარტო ჩვენს გეოგრაფიულ მიწა-წყალზედ დარჩენილი უტყუარი საბუთები, ივივე ჩვენს ქართულს ენაშიაც დარჩენილა მრავალი ლექსი კერპებისა, როგორც ჰერას მაგიერ ჭაერი, ათინას მაგიერ გათენება (განათლება), ვინაიდგან ათინა იყო განათლების ქალ-ღმერთი. გლეხები ლაპარაკში სიტყვის მოსაგონებლად ემე-ემეს უმატებენ, ამითი ჭერმეს მჭერმეტყველების ღმერთს იშველიებენ თავიანთ შემწე-მომხმარედ, იმერლები ქორწინების ღმერთს ჭიმეს იამედ ახსენებენ ხოლმე განკვირვების ნიშნად; ასრევე მესხები ეტეს ამბობენ გასაოცრად ლაპარაკში, რომელიც იყო სიბოროტის ღმერთი, და სხვანი. აქედგან ცხადად სჩანს, რომ არა მარტო მთელის ბერძნების მითოლოგია, იგივე ლათინური მრავალი მითოლოგიის კვალი დარჩენილია ჩვენში, ამას ეჭვი არ უნდა.

მაშ ჩვენ წარმართ წინაპართ სარწმუნოება ბერძნების სარწმუნოების ნაირი ყოფილა და არა სხვა; რაც შეეხება სხვა-და სხვა ტომების გადარჯულებულ ბარბაროსულ წესრიგს, მკვდრების დაუმარხაობას, ქორწინებაში ნათესაობის გაურჩევლობას, კაცის ხორცის მჭამლობას, როგორსაც ვხედავთ დღეს კავკასიელ ნოღებში, ყოველივე ქართველ მესხებს არ ეკუთვნის, არამედ ჩვენში შემოსეულ-შემოვარდნილ სხვა-და სხვა ბარბაროს მაწანწალა ტომებს. ერთიც ამათთან ერთად კოლხიდელების წინადაცვეთა არის. ნათქვამია, ვითომც ისინი კოლხიდაში შესული ებრაელები არიან. უნახავთ მათი წეს-ჩვეულება ბერძნის მწერალ მოგზაურთა და ის წესი კოლხიდელებისათვის მიუწერიათ რიგიან გამოუკვლელობით.

ჩვენნი წარმართნი წინაპარნი მიცვალებულთ მთა-გორებსა და მაღლობ სერებზედ ასაფლავებდნენ საზოგადოდ, სადაც საკერპოები ჰქონდათ ქრისტიანებმაც მათ მიჰბაძეს, თავ და პირველად სულ მაღლობებზედ აშენებდნენ ეკკლესიებსა და იქვე ასაფლავებდნენ მიცვალებულთაც დიდ ხანს! როცა ჩვენ წარმართ ტომთ ენკენისთვის პირველს ახალი წელიწადი დაუდგებოდათ, სალხინოდ ერთად შეკრებილნი ასე მღეროდნენ“.

დავბერდი, მშვილდი ძირს დავდევ,
მაღლა მთაში ძევს სადამე,
დალპება, ქერქი გასძვრება,
არ მიადგება მზე სადმე.
სახელი კი დიდხანს რჩება,
არ იკარგება სადამე.
თქვენ დღეგრძელება, სიკეთე,
სახსენებელი სადამე“.

— ამ თავიანთ ჩვეულების ნაირად ჰხატავდნენ ძველს წელს, რომელსაც მკვდარსავით სახსენებელის მეტი არა რჩებოდა რა. ახალ წლისთვის კი დღეგრძელობასა და სიკეთეს ჰნატრობდნენ.

ბ-ნი პ. მირიანაშვილი ხადენს ჯერ ბერძნების ხევსს აწერს, მერეკი უარს ჰყოფს, ამბობს, ხადენი ხედანი თქმა ენდა იყოსო, მთის წვერი! ხადენი (სატერზ), მამა მთავარი ნოე იყო, წარმართნი ასე უძახდნენ: მესხები ხადენს ხანტასაც არქმევდნენ, რომ გვიან იგონებდა მათ სათხოვართა, აი რა თქმულა.

ღვდელო ლეონიდი, რომელმაც ხალხი დალოცა. სამღვდელოებამ შემოსვა დაიწყო. როდესაც ეპისკოპოსი შემოსეს და ორთავ მხარეს დაფარნები დაადგეს, სამღვდელოება ხატებით, ჯვრითა და დროშებით ლიტანიით წარემართნენ საკათედრო ტაძრისაკენ. ყველა ეკკლესიებში ზარის რეკვა დაიწყეს. თან აურებელი ხალხი მისდევდა ლიტანიას, ასე რომ გზაში პოლიცია ხალხს ძლივს იმაგრებდა; გზა-და გზა ხომ სახლების ფანჯრები და აივნები სავსე იყო ხალხით. ვოგზალთან ახლოს დამწკრივებულნი იყვნენ ეპარქიალურ სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ტაძრამდის გაჰყვნენ და მთელი წირვა მოისმინეს; ხოლო წირვის შემდეგ ტაძრის კათედრიდგან კარის ბჭემდის ორთავ მხარეს ჩამწკრივდნენ და ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი ისე გააცილეს. ლიტანიის წინ ქალაქის ამქრების ბაირაღები მიჰქონდათ ხელოსანთა მოთავეთ. ვოგზლიდგან ტაძრამდის ქალაქის მოურავი ბ-ნი ლოლუა თან მისდევდა ლიტანიას. ლიტანია $9^1/_2$ საათზედ მივიდა ტაძარში. აქ ტაძრის დეკანოზმა ცაგარეიშვილმა და კელენჯერიძემ მისს მეუფებას სიტყვები მოახსენეს, რომლის შემდეგაც წირვა დაიწყო. წირვის შემდეგ მისმა მეუფებამ ფრიად საგულისხმიერო და გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა. ყოვლად-სამღვდელოს სიტყვის შემდეგ პარაკლისი იქმნა გარდახდილი. წირვის შემდეგ მისი მეუფება თავისს ახალს სადგურში წაბრძანდა, სადაც სამღვდელოებამ მიაცილა. აქ მცირედის პარაკლისის შემდეგ სამღვდელოება და მოსულნი სტუმარნი გამოეთხოვნენ მისს მეუფებას. ვისაც კი სამღვდელოთაგან ეპისკოპოსი არ იცნობდა, ქუთაისის ეკკლესიების ბლაღოჩინმა დეკანოზმა ყუბანეიშვილმა წარუდგინა მისს მეუფებას. იმ დღის თანამწირველნი ეპისკოპოსმა ჩაიზედ მიიწვია.

წირვის შემდეგ ეპისკოპოსი ინახულეს და მიულოცეს როგორც გუბერნატორმა, აგრეთვე სხვათა წარჩინებულმა კაცებმა, რომელთაც ეპისკოპოსმა ლეონიდმა შემდეგ დარბაზიბა გარდაუხადა. მშვენიერი გრილი ამინდი ყველა ამას ხელს უწყობდა.

მათე

## ქალაქის საბჭო

18 სექტემბერი

წინანდელ კრებათა ოქმის დამტკიცების შემდეგ, საბჭო შეუდგა განხილვას იმ კომისიის მოხსენებისას, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოს რუსეთთან შეერთებიდგან ასის წლის შესრულების გამო პროექტის შემუშავება იმის შესახებ, თუ ქალაქმა როგორ უნდა ჰყოს სახსოვარ ეს დღე. როგორც მკითხველებმა უწყიან, ეს აზრი წარსულ წელს აღიძრა ქალაქის საბჭოში, რომელმაც განსაკუთრებული კომისია ამოირჩია ამ საქმისათვის. კომისია ამ დღის აღსანიშნავად ოთხს სხვა-და-სხვა მოსაზრებას დაადგა: თ. ვ. გ. მ. თუმანიშვილმა აღძრა ლაპარაკი უმაღლესის სასწავლებლის — ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დაარსების შესახებ, ა. ს. ბაბოვმა — სატეხნოლოგო მუზეისა და სხ.; ქალაქის გამგეობამ თავის მხრით საბჭოს წარმოუდგინა თავისი დადგენილება, რომ იუბილეის აღსანიშნავად ქალაქმა დააარსოს უფასო სამშობიარო სახლი 20 საწოლით, დააარსოს აგრეთვე 4 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი; გამართოს ერევნის მოედანზედ შადრევანი; მონაწილეობა მიიღოს კავკასიის სამეურნეო გამოფენაში განსაკუთრებულ განყოფილების გახსნით და დააწესონ პეტერბურგის ქალების სამკურნალო ინსტიტუტში ორი სტიპენდია ქალაქის მკვიდრთათვის. ამ საგანმა ხმოსანთა შორის ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომელმაც თითქმის ორს საათამდე გასტანა. ხმოსნები თანაგრძნობით მიეგებნენ ბ-ნ თუმანოვის მიერ აღძრულს საგანს, მაგრამ ის აზრი გამოსთქვეს, რომ თუ ვინიცობაა ნება ვერ მივიღეთ სასწავლებლის დაარსებისა, მაშინ რაში უნდა გამოიხატოს ქალაქის მონაწილეობა იუბილეის აღსანიშნავადაო. ბევრის კამათის შემდეგ საბჭომ დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა უმაღლესის სასწავლებლის — ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის დაარსებისა და ამისთვის ფულის მოსაგროვებლად ხელის მოწერის გამართვის შესახებ და აგრეთვე დაავალონ იმავე კომისიას, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ამ საქმის შემუშავება, ახალი აზრი წარმოუდგინოს საბჭოს ქალაქის საიუბილეო დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. დასასრულ საბჭომ განიხილა განცხადება ავჭალის ქიზის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებისა ამ გზის უსახელო საზოგადოებაზე გადაცემის შესახებ.

საბჭომ ეს საქმე კომისიას გადასცა განსახილველად.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ხიზ. წინ-წყარო,** (ტფილისის მაზრა). 12 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: წინ-წყაროს მცხოვრებმა მანუილ ფახიროვმა კეტით მოჰკლა თავისსავე სოფლის მცხოვრები გლეხი ანასტასი პაპოვი. აი როგორ მოხდა ეს მკვლელობა: წინწყაროს მცხოვრები ნიკოლოზ დანავ-ოღლი (დობჟანიძე) აქაურს დუქანში დამთვრალა და მზის ჩასვლის დროს შინ წასულა. სახლში რომ მისულა, დობჟანიძეს თავისის ცოლისათვის ცემა დაუწყვია. ცოლის ყვირილზედ მიურბენია დანიელ ფახიროვს, ძმას მკვლელისას და გაშველება და დაშოშმინება დაუწყვია; ამ დროს დობჟანიძეს ცოლისათვის თავი გაუნებებია და დაუწყვია ცემა ფახიროვისათვის. ფახიროვს მიჰშველებია ძმა დანიელისა ზემოდ აღნიშნული მანუილ ფახიროვი. ახლა თურმე ამათ გამოითრიეს გარეთ ნიკოლოზ დობჟანიძე და ცემა დაუწყეს. ყვირილზედ ამ დროს დუქნიდგან ანასტასი პაპოვმა თურმე მიირბინა და გაშველება დაუწყო. გაშველების დროს პაპოვი ძმათა ფახიროვებს ჯოხით თურმე სცემდა. გაშველებით კი გააშველა პაპოვმა, მაგრამ ეს არაფრად ეპიტნავათ ფახიროვებსა და როდესაც პაპოვი დუქანში დაბრუნდა, მანუილ ფახიროვმა საიდგანღაც კეტი იშოვნა, მიეპარა მიმავალს პაპოვს და ისე მაგრა დაარტყა თავში, რომ პაპოვი მაშინვე მიწაზედ დაეცა. პაპოვი მაშინვე სახლში წაიყვანეს და მეორე დღესვე გარდაიცვალა. როგორც ადგილობრივი გლეხები ამბობენ, ფახიროვებს პაპოვთან არავითარი მტრობა არა ჰქონიათ და მკვლელობა მხოლოდ სიმთვრალესა და დროებით გაბრაზებას მიეწერება. გამოძიება სწარმოებს.

აქეთ პურის ლეწვას უკვე მორჩნენ. ამ წლის მოსავალი გლეხებს მხოლოდ რამდენსამე თვეს გაჰყვება. პურის მოსავალი ამ წელს იქამდის ცუდი იყო, რომ სათესლეთ არავის გამოადგება. ამის გამო გლეხები საშინლად დაღონებულები არიან და არ იციან რა იღონონ და საიდგან რა იშოვნონ, რომ მომავალის წლისათვის მაინც წლის სარჩო ჰქონდეთ.

გ. კარიბოვი

## უცხოეთი

**ჩინეთი.** საქმის ვითარება ვერც გრაფის ვალდერზეეს ჩინეთში ჩასვლამ გამოარკვია. ამბობდნენ, მთავარ-სარდალი ჩასვლისათანავე მტკიცედ მოეკიდება საქმეს: ან მიწასთან გაასწორებს ჩინეთის ჯარსა და მოკრივეებს, ან კიდევ ძალას დაატანს მთავრობას აასრულოს სახელმწიფოთა მოთხოვნილებანიო. ერთ კვირაზედ მეტი იქმნება, რაც გრაფი ჩინეთში ჩავიდა და ჯერ არ ისმის, დაიწყო რამ თუ არა. „Morning Post“-ის შანხაელი კორესპონდენტი ეხლა იმასაც გადმოგვცემს, რომ გრაფი ვალდერზეე ტაკუში მისვლისათანავე გადასცემს ჩინეთის მთავრობას ულტიმატუმს, რომელშიაც მოსთხოვს ხუთ კაცს ევროპიელთა წინააღმდეგ დაწყობილ მოძრაობის მეთაურთ. თუ ჩინეთმა ეს მოთხოვნილება არ აასრულა, გერმანია ომს გამოუცხადებს და დაიჭერს იმ სიმაგრეებს, რომელნიც შანხაისა და იანძეს მიდამოებშიაო. რამდენად განახორციელებს მინდობილ საქმეს გრაფი ვალდერზეე, ჯერ მერმისი დაგვანახვებს, ჯერ-ჯერობით-კი დიდ საყურადღებოა ჩინეთის საქმეში ორი რამეა. ერთი ისა, რომ სახელმწიფოთა შორის სასურველი თანხმობა არ არსებობს. პირიქით შესამჩნევი უთანხმოება ჩამოვარდა, რომელსაც შეიძლება დიპლომატიური შეტაკებაც კი მოჰყვეს. მეორე — პეჩილიის პროვინციაში დამარცხებამ და პეკინის აღებამ ჩინელები ისე არ დააშინა, როგორც მოსალოდნელი იყო. ევროპიელთ ეგონათ, პეკინის აღებით საქმე გათავდებაო. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. როგორც სჩანს, ჩინელები სატახტო ქალაქის აღებას მაგდენ ყურადღებას არ აქცევენ. მათ უკვე გაიჩინეს სხვა სატახტო ქალაქი. ამას გარდა, არც მოკრივენი დაცემულან სულით და არც ტუანი აპირობს ფარ-ხმლის დაყრას. თვით მთავრობაც მზადებაშია, ჯარს აგროვებს და სხვა. „Times“-ს შანხაიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ სიჩუანიდგანა და სხვა პროვინციიდგან დიდ ძალ ჯარსა ჰგზავნიან შანსის პროვინციაში, სადაც ამ ჟამად ქვრივი იმპერატრიცა და იმპერატორი იმყოფებიან. მეორე გაზეთის „Daily Teleg“-ის სიტყვით, მოკრივენი აღფრთოვანდნენ სულით, ხელ-ახლა მოემზადნენ ევროპიელთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. დღითი-დღე ძლიერდება სიძულვილი ევროპიელთა მიმართაო. ერთი სხვა გაზეთი იუწყება კიდევ, რომ იმპერატრიცამ შეიძულა პრინცი ჩინი, ევროპიელთა ერთად-ერთი მომხრე პრინცი, და მიყრუებულ პროვინციაში დანიშნა გუბერნატორადაო. ყველა ეს აშკარად ჰმოწმობს, რომ ჩინეთს რაღაც აქვს განზრახული, რომ იგი მაგრე რიგად არ არის მოწადინებული მოკავშირეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

—

**ინგლისი.** მკითხველებს ეხსომებათ ლორდ რობერტსის უკანასკნელი დეპეშა, რომელშიაც ფელდმარშალი გადაწყვეტით ამბობდა, რომ ბურების ჯარი აღარ არსებობს, იგი მიწასთან გავასწორე, და ეხლა აქა-იქ მოთარეშეთა, მძარცვავთა

---

„მე ვალელი ხუცესიო
ქალას ვიყავ მიმავალი,
ჰორატს ჰანმგლეჯს გადვეყარე,
დამიბნელდა ორივ თვალი,
ხადენს ფული გარდავუგდე,
იცით რომ სულ არ მაქვს ბრალი.
ხელი ვკარ ქვას, აქ გავქვავდე,
გადვიხადე წუთის ვალი,
ვინც ჩემი სისხლი იკითხოს,
ჰორატს ქვას აჩნია მშრალი.“

ეს ქვა და ზედ მისი ხელი მე თითონ მინახავს *). ასევე უწოდებდნენ სემს ხრუანად, ქამს ტიტანად და იაფეთს იაფეთად. გაცი ადამის წარმომადგენელი იყო როგორც კარგი კაცი ქვეყნის სიკეთის ნიშნად და გაიმი როგორც ანგაარი, ავკაცი მსგავსი კაენისა, ვისგანაც დასაწყისიდგან დღევანდლამდე მთელი ქვეყანა დაღუპულია! აინანა (ათინა) და დაინანა (დიანა) ვენერა იყო, რომელსაც საზოგადო ქალის წოდება მიეცა ჩვენ წინაპართაგან! ასევეა დარჩენილი ხარმაცი მოხარული ლექსის წინ ხანეთ, ტანადის ადამიანის წილ ხროიანი. ტატანის წილ დიდტანი და იაფეთის წილ ბედი, სვე, ბედნიერება. მისგანვე შემოღებულია აბედი, ყრუ კერპები იყვნენ ხადენი, ჰერა, ჰერმე, არისი, დიმიტრი და სხვ.

დაგვრჩა ასახსნელი ერთი რამ: ბერძნების მითოლოგია საბერძნეთიდგან შემოსულია ჩვენში, თუ ჩვენის კავკასიიდგან აქვთ გატანილი ბერძნებს: როცა ნოეს კიდობანი წარღვნის შემდეგ გაჩერდა არარატის მთაზედ, შემდგომ ის თავის სახლობით გადმოსული დასახლკარდა საუკეთესო მხარეს, რომლის მთა-ბარი, ტყე-ღრე, მიწა-წყალი და წმიდა ჰაერი ყოველის სიკეთით შემკობილი იყო. აი რასა სწერს მამა არქანჯელო ლამბერთი: „ძველის-ძველ ზეპირ გარდმოცემით (თქმულია), ნოე თავის სამი შვილით კიდობნიდგან გამოსვლისათანავე დაბინავდა სამცხეს, რომელიც ქართულად ნიშნავს სამს თავ-შესაფარსა: რა ნახეს ასეთი უხვი ქვეყანა, ააშენეს სამი სახლი. მათი სახლები ციხეს წარმოადგენდა. შემდგომ მათი ჩამომავლობა გარეშემო ქვეყნებში გამრავლდა“. („მოამბე“ № IV, გვ. 56, 37 1900 წ.) ეს ადგილი მას ამოუღია წმ. ეპიფანის პანარიონისაგან. მაშასადამე იმ თავითვე კავკასია ერთიან ყოფილა სავანე გმირთა, რომელნიც შემდეგ გაუღმერთებიათ წარღვნის წინად გაღმერთებულ დევგმირების მიბაძვით, რომელთ სიბეჯითეს ამტკიცებს საღმრთო წერილიცა: „და გმირნი იყვნეს ქვეყანასა ზედა მათ დღეთა შინა და შემდგომად ამისა ვითარცა შევიდოდეს ძენი ღვთისანი ასულთა მიმართ კაცთასა და შობდეს თავთა თვისთად, იგინი იყვნეს გმირნი საუკუნითგან კაცნი სახელოვანნი“. (შესაქმისა, 3. 4.).

სწორეთ იმ გმირების სახელები შერჩენიათ საქართველო-მესხეთის მხრის მთებს, მდინარეთა, ტბათა და დაბა ქალაქებსა. ამინარი ანუ ამირანი ადგილობრივ გმირთაგანია, რომლის მოქმედება საზოგადო სიკეთისთვის ყოფილა, ამ ნარის ქვა ვალისქალის ფოტრიების ერთ საზღვარზედ სძევს, 60 ფეხის სიმრგვლეა და 6 ფეხის სიმაღლე. გორაც ახალქალაქის გვერდით მდებარებს. პრომეთეს ზღაპრისთვის მ-უბაძავთ მისი საბოლოოცა ჩვენ წინაპართა. ბერძნები კავკასიიდგან გასულან 1550 წლის წინად ქრისტეზედ ისტორიკოსების გამოანგარიშებით, ჩვენი ქვეყნიდგან გაუტანიათ ყოველი ცნობა თავიანთ მითოლოგიის შესახებ. მათი დასაწყისი ასე არის: პრომეთე ყოფილა ის გამოჩინებული მეკეცე, რომელსაც პირველად უკეთებია თიხისგან კერპები და გაუმრავლებია კერპთ-თაყვანება, რაზედაც შეუდგენიათ ბერძნებს მისი ზღაპარი! პრომეთეს ძე ყოფილა დევკალიონი, დევკალიონისა ელენო, ელენოსი ბერი, კახეთის ჩელეთს პირვლად ბერი რქმევია ამშენებელის სახელზედ, როგორც გვიჩვენებს ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ (გვ. მე-20). აი ამ ბერის ჩამომავალნი არიან ელლენები, რომელთაც ჩვენ ბერძნებს ვარქმევთ, ე. ი. ბერის ძეთა. ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული სახელ-წოდებაც თან გაიტანეს გლეხებმა; ხვნა-თესვა, მებაღობა, მებოსტნობა გააჩინეს იმ ქვეყანას; მხნელ-მთესველნი თესალიელებად იწოდნენ, თორიელნი დორიელებად, ფოკელნი ფოკიელებად, ადიგვნელნი ატიკიელებად, აბელელებად და ალვანებად, მათი გადასახლების მიზეზი წარღვნა ყოფილა, უფრო ის, რომ ათას ნაირი მოგზაური ტომები, აღმოსავლეთითგან, სამხრეთითდგან და ჩრდილოეთითგან შემოსეულნი არ ასვენებდნენ.

ჩვენი მოდგმა მთელ მცირე აზიაზედ გავრცელებული იყო: ქართველები კილიკიას და მესხები კაპადუკიისკენ. ორივ ზღვის პირები ეჭირათ ამ ორ ძმათა ჩამომავლობას; სულ ბრძოლაში ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას ახურასტნის მეფეებთან, ბაკტრებთან და ინდოელებთან, მაგრამ ფინიკელებთანა და ეგვიპტელებთან თანხმობით ყოფილან. მაშასადამე, ჩვენის ქართლის ისტორიის დედა-ბოძთ ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, კავკასოს, ეგროს და ჰაოს თუ ადგილი აქვთ ჩვენს ცხოვრებაში, მათი რესპუბლიკური მამასახლისური წყობა უნდა მივაწეროთ ფინიკელებისაგან შესულ ჩვეულებასა ქვეყნის სიადვილით სამართავად; ესენი უკანასკნელ ხანებში ყოფილან, ელლინების ჩვენის ქვეყნიდგან გასვლის შემდეგ, და არა იმაზედ წინად. ცხადად ყალბი თქმულებაა მხითარ ანელისა და მერე ეპისკოპოს სტეფან ორბელიანის სომხისა, რომ ბევრი სომხის ისტორიკოსნი არ იწყნარებენ ამას.

ვინმე მესხი

*) ეს ძვირფასი ძეგლი ათასეულის წლისა ვ ლის სოფლიდგან ბარე ოთხის ვერსის სიშორეზე იყო მინდორში. ბალჩების შესაღობავ შეკრებილ ქვებთან ეს ქვაც წაეღოთ ნაკაიდაშვილებს, ჩაეტანებინათ კედელში და ველარ ვაპოვნინე. ასე იკარგება ჩვენის უმეცრებით ბევრი ნაშთი.

ბრბონი-ღა თუ მოიპოვებიანო. ეს დეპეშა ხწორედ არჩევანის წინ მივიდა ლონდონში. თვით ინგლისშიაც არა სთვლიან ომს გათავებულად, მაგრამ ამ დეპეშის გაგზავნა რობერტსმა მაინც საჭიროდ სცნო, რათა არჩევანების წინ ეუწყებინა ამომრჩეველთათვის, რომ აწინდელმა სამინისტრომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანაო, და ამით სამინისტროს დასის გამარჯვებაც უეჭველი ჰყო. რობერტსის უკანასკნელ დეპეშის გამო ცნობილ სამხედრო კრიტიკოსს ჩარლზ ვილიამს უთქვამს: „რობერტსი ისე მიეჩვია დაუბრკოლებლად ველურ ინდოელთა დასჯას, რომ აღარც-კი იცის, როგორ უნდა მოექცეს კულტურულ, თავისუფლების მოყვარე ხალხს. იგი იუწყება, რომ მძარცველთა და მოთარეშეთა რამდენიმე ბრბო და დარჩაო. ინგლისელს არ შეჰფერის ასეთი შეურაცხება მიაყენოს მამაც მოწინააღმდეგეს. ვინ გაძარცვა ბოტამ? რა გაძარცვა დევეტმა? დევეტი ჯერ ბრძოლის ველზედაა და არავის არ დაუმარცხებია. ბოტა ავად არის და ამიტომ უფროსობა მან ვილტოენს გადასცა. ისინი, ვისაც რობერტსი მძარცველებს ეძახის, არიან სამშობლოს დამცველნი. რობერტს აცნობეს აქედგან, რომ ინგლისელებს ომი მოჰბეზრდათო და ფელდმარშალმაც მოწინააღმდეგე, რომელიც იარაღით ვერ დასძლია, ერთის კალმის მოსმით განადგურებულად აღიარა“.

— არჩევანები, როგორცა ვთქვით, უკვე დაიწყო. უნდა არჩეულ იქმნას სულ 670 დეპუტატი. აქედგან საკუთრად ინგლისმა უნდა აარჩიოს 465 დეპუტატი, ირლანდიამ—103, შოტლანდიამ—72 და ვალისმა—30. ქალაქებს შორის ყველაზედ მეტი დეპუტატი პარლამენტში ლონდონსა ჰყავს, სახელდობრ—62 დეპუტატი, შემდეგ ლივერპულს—9, ბირმინგამს—7, გლასგოს—7 და სხვანი. ხმის უფლება ინგლისში ყველა მამაკაცსა აქვს, ვინც-კი სრული წლოვანია და ვისაც ერთის უკანასკნელის წლის განმავლობაში შემწეობა არ მიუღია, როგორც ღარიბს, ან სამართალში არ ყოფილა მიცემული.

## ქართული საერო მუსიკა

წარსულ ზაფხულს ქართლის სოფლებში ვიმოგზაურე და მოვძებნე ძველი სიმღერები მშვენიერი კილოისა და საყურადღებო შინაარსისა, რომელთაც დამატკბეს, მაგრამ ამასთანავე მწარე ფიქრებსაც მომცეს, რადგანაც ეს ძვირფასი განძი ქართულის მუსიკისა დღითი-დღე ჰქრება. ნოტებზედ გადავიღე შემდეგი სიმღერები: 1) „ეს ბაღი დიდად ქებული, ქურდისაგან ვერსად ვნებული“ (ნათქვამია ქალის პატიოსნებაზე), 2) „კოკობო ვარდო“, 3) „მე შენ დაგუურებ მშვიდ მძინარესა და დავსტრიალებ შენს ბროლის მკერდსა“, 4) „მიველ წალკოტს სანუკვეშოდ“, 5) „სულო ბოროტო“, 6) „ჩემო თავო ბედი არ გიწერია“ (ძველ კილოზე), 7) „ბუნდოვანს გულს შენ აღმიჩნდი“ (დიდი განსხვავება აქვს ოპერა „დემონის“ ბუნდოვანთან), 8) ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია“, 9) ტურფავ, ტურფავ, რას მიყურებ, მოაცურე ჩემსკენ ნავი, ერთად ჩავსხდეთ და უცქიროთ, როგორ ანძრევს წყალს ნიავი“, (ეს არის წყალში ნავით სეირნობის სიმღერა, რომელსაც ევროპიულად ბარკაროლია (barcarolla), ჰქვიან. 10) „მნათობო, თვით შენ ამიხსენ, რა მემართების, რასა ვგრძნობ“, 11) „მრავალჯერ ვფიცავ არ გნახო, მაგრამ უოველ ჟამს გეძიებ“, 12) „როს განიდევნოს მან ღრმა ძილისაგან“, 13) „შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი“ (ისტორ. ქართველ დიდებულთა საპყრობილეში უოფნა), 14) „მშვენიერთა ხელმწიფავ“, 15) მაისის ვარდმან ფურჩქნილმან“, 16) „საბრალო გულო რად მღელვარებ“, 17) „ვარდო, რად ხარ თავ დახრილი“, 18) სძგერს გული, საყვარელო, მლოდნეს შენთან უწულავს თმენა“, 19) „სატრფოვ, შენთვის დავიბადე“, 20), მთაო გადმიშვი“ *).

ფილიმონ ქორიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

უწინდელ დროში თითქმის ყველგან პროფესორებს მეტად მცირე სასყიდელი ეძლეოდათ. ზოგი მათგანი ცოლ-შვილის გამოკვებასაც ძლივს ახერხებდა. თუ რამდენად უზრუნველ ყოფილი იყვნენ, მაგალითად, გერმანელი პროფესორები ქონებრივ ამ 150 წლის წინად, სჩანს ერთს გაზეთში დაბეჭდილ პატარა ბარათიდგან. ეს ბარათი ისტორიაში „შვიდის წლის ომად“ ცნობილ დროს ეკუთვნის. ამ ომის დროს ჯარის ერთმა ნაწილმა საქსონიის რომელიღაც პრინცის წინამძღოლობით ქალაქ გეტინგენს ალყა შემოარტყა. პრინცმა დამორჩილება მოსთხოვა ქალაქს, ხოლო რათა მოქალაქენი უფრო ადვილად დაემორჩილებინა, პრინცმა წერილი მისწერა თავის ძველ ნაცნობს გეტინგენის უნივერსიტეტის პროფესორს აბრაამ კესტნერს და სთხოვა, დაიყოლიე მოქალაქენი, რომ უომრად დამმორჩილდნენ, თორემ ყველას შიმშილით ამოგწყვეტავთო. ამის საპასუხოდ კესტნერს წერილი გაუგზავნია, რომლის ბოლოშიაც აი რას ამბობს: „რაც შეეხება შიმშილს, უნდა შეგატყობინოთ, რომ მე მაგაში გამოუცდელი არ გახლავართ. მთელი ხუთი წელიწადი ექსტრაორდინალურ პროფესორად გახლდით ლეიპციჰის უნივერსიტეტში და ამ ხნის განმავლობაში ბედნიერება მქონდა სავსებით და უნაკლულოდ გამომეცადნა შიმშილობა. ეხლა მე კარგად ვიცი, რა ხილია შიმშილობა. ამიტომ თქვენი მუქარა ვერ შემაშინებს. იმედი მაქვს, ჩემი მაგალითი სხვა მოქალაქეთაც განამტკიცებს“.

* * *

არსად არ იმართება ისე ხშირად გამოფენები, როგორც პარიჟში. მსოფლიო გამოფენათა გარდა, ისე წელიწადი როგორ გავა, რომ პარიჟში რამდენიმე სხვა გამოფენაც არ გაიმართოს. პირველი გამოფენა პარიჟში, რომელიც დღეს გამოფენათა ქალაქად გადაიქცა, გაიმართა 1790 წლის 22 სექტემბერს. გამოფენა მაშინ ვინმე ფრანსუა ნეფშატომ მოაწყო და გაიმართა მარსის მინდოზედ. გამოფენაზედ შესვლა ყველას უსასყიდლოდ შეეძლო.

* * *

ერთი გაზეთი იტალიის ახალ მეფის ვიქტორ-ემმანუილის შესახებ შემდეგს მოგვითხრობს. ამას წინად მეფეს გასეირნება მოსდომებია. ერთ აფიცერთან ერთად ვიქტორ ემმანუილი სასახლიდგან ქუჩაში გასულა და დაქირავებულ ეტლში ჩამჯდარა. მეეტლეს უბრალო აფიცრები ჰგონებია და გზაში ლაპარაკი გაუბამს. სხვათა შორის შეუჩივლია, ცხენის რკინის გზამ მგზავრები შევვიმცირა მეეტლეებს, შემოსავალი აღარა გვაქვს და ლამის შიმშილით ამოვწყდეთ; ამიტომ ვაპირებთ მეფეს თხოვნა მივართოთო.

ვიქტორ ემმანუილს გულ-მოდგინედ დაუგდია ყური მეეტლესთვის.

— მეფე ჰუმბერტო,—განაგრძო თურმე მეეტლემ,—გულ-კეთილი კაცი იყო, მეტად გულ-კეთილი და რამოდენადმე ამის წყალობითაც დაიღუპა. მაგრამ, სამაგიეროდ, იმისი შვილი საქვეო კაცად მიმაჩნია, მე იმას ვერ ვენდობი.

მეფემ გაიცინა. ეტლი სასახლის ალაყაფის კარებთან მივიდა.

— შედი ეზოში,—უთხრა მეფემ.

— დარაჯი?—შიშით შეეკითხა მეეტლე.

— არაფერია,..

ეტლი ეზოში შევიდა და შესავალ კარებთან დადგა, მგზავრები ჩამოხდნენ და რამდენისამე წუთის შემდეგ ლაქიამ მეეტლეს ათი ლირი გამოუტანა და უთხრა:

— მისმა უდიდებულესობამ გამოგიგზავნა და დამავალა გადმოგცე, რომ კარგი ცხენები გყოლია.

გაოცებულმა მეეტლემ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ცხენს დაჰკრა მათრახი და გარედ ქუჩაში გავარდა. ეშინოდა, არ დამეწივნენ და არ დამიპირონ გადაჭარბებულ ყბედობისათვისაო.

• •
•

კანზასის შტატ ქ. ზეატში ახალი კანონი გამოუციათ. ამ კანონის ძალით ქალებს ნება აქვი ყოველ გვარ თანამდებობის მიღებისა. შეიძლება ახალის კანონით ქალები მსაჯულებად და პოლიციელებადაც კი იქმნენ არჩეული. მკითხველებს ეხსომებათ, რომ შარშან ამ ქალაქის თვითმმართველობაში მამაკაცებმა თავი მიანებეს სამსახურს და ქალაქის საქმეების გამგეობა ქალებს მიანდეს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 სექტემბერი

**პეტერბურგი.** რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტის დირექტორის ციგლერის თავმჯდომარეობით ფინანსთა სამინისტროში 18 სექტემბერს დაიწყო ბჭობა, რომელზედაც ხორბლეულის ტარიფი უნდა განიხილონ; გამოცხადნენ წარმომადგენელნი სოფლის მეურნეობისა: ფქვილის მრეწველობისა, საბირჟო კომიტეტებ-სა და სახელმწიფო დაწესებულებათა, სულ 80 კაცი. სულ წარმოადგინეს 8 კითხვა საშინაო და საგარეო ტარიფის-ხორბლეულისა, ფქვილისა, ქატოსი და სხ. შესახებ. პირველს სხდომაზედ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო იმ კითხვამ: ყველასათვის საზოგადო ტარიფი უნდა იქმნეს დაწესებული თუ საშინაო ცალკე და საგარეო ცალკე; ამ კითხვის შესახებ დასკვნა შემდეგ სხდომისათვის იქმნა გადადებული.

**ბლაგოვეშჩენსკი.** მსროლელთა მე-12 რაზმის კამანდირი და ოფიცრები ნათესავთა და ნაცნობთ სალამს უძღვნიან და სთხოვენ კორრესპონდენციები ნიკოლსკ-უსსურიისკში ჰგზავნონ.

**ლონდონი.** რობერტსი დანიშნულ იქმნა ვოლსლეის ადგილზედ მთელის ჯარის მთავარ-სარდლად.

**შანხაი.** აქაურ არსენალში დღეღამე მუშაობაა. ამზადებენ საომარ მასალას, რომელსაც შემდეგ გემებით ჩრდილოეთისა და დასავლეთისაკენ ჰგზავნიან. როგორც ისმის, ვიცე-კოროლები საჩქაროდ ამაგრებენ იანძეს და ნავთ-სადგურებს ჯარს უმატებენ.

**პეკინი.** ოფიციალურ ცნობებით, ინგლისელებს წინადადება მისცეს მონაწილეობა მიეღოთ პეიტანის აღებაში, მაგრამ ისინი გვიან მივიდნენ: სიმაგრეები უკვე რუსებისა, ფრანგებისა და ნემცების ხელში იყო.

**ჰონკონგი.** არეულობანი აღმოსავლეთ მდინარეზედ უფრო და უფრო ვრცელდება. როგორც ისმის, დაქცეულ იქმნა რკინის მისსია ტუნკონში, ამიტომ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კაულუნის იქით მდებარე ოლქს.

19 სექტემბერი

**პეტერბურგი.** მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ 18 სექტემბერს „შტანდარტის“ გემით სევასტოპოლიდგან ლივადიაში მოვიდნენ.

**ლორენსო-მა-კეზე.** კომატიპორტში საშინელი აფეთქება მოხდა იმ დროს, როდესაც ინგლისელები ბურების მიერ დატოვებულს სამხედრო მასალას ანადგურებდნენ. მოკლულია ოცი გორდონის გაილენდერი.

**ნიუ-იორკი.** ტიან ძინიდგან დეპეშით იუწყებიან: „აქ ბრძანება მოვიდა ვაშინგტონიდგან, რომლითაც ამერიკის უმთავრესს ძალას ნაბრძანები აქვს უკან დაბრუნება. სამზადისი ჯარის გასასვლელად უკვე დაწყებულია. პეკინში ამერიკის ინტერესების დასაცველად დატოვებულ იქმნება ერთი ქვეითა რაზმი, ესკადრონი და ბატარეია, დანარჩენნი ჯარი მანილლაში წავა. ბრძანება ჯარის გაგზავნის შესახებ იმის შემდეგ იქმნა მიღებული, როდესაც გეგმა შანხაიკუანის ექსპედიციის უკვე მზად იყო. ამერიკელების წასვლის ამბავმა დიდად იმოქმედა მოკავშირეებზე“.

**ჟიტომირი.** ვლადიმირ-ვოლინსკში აკურთხეს ახლად განახლებული მიძინების ტაძარი, აგებული 1160 წელს მსტისლავ იზიასლავოვიჩის მიერ, მეტად საყურადღებო და უძველესი ძეგლი საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა და რუსეთის ძველთა სახსოვართა.

## ხალხური ლექსები

(სოფელ პატარძეულში გაგონილი გიორგი ბილანიშვილისაგან და ჩაწერილი მ. იანქოშვილის მიერ).

სამი სიტყვა შარშან გითხარ,
სამი ეხლა, გახდა ექვსი;
ჩემი ვერა შეგასმინე
ვერც შაირი, ვერცა ლექსი.

—

ჯარი ბევრი მოგროვილა
ყიზლარში და მოზდოკშია.
ვენახი რო დაგვესეტყვოს,
რაღას ჩავყრით გოდორშია?
ყანა როგორ მოიმკება
ნახევარი ოდოშია, *)
თუ ამის მეტი არ იცი,
რაზედ სდგები ცოდოშია?!

—

მანამ ვაჟ ვიყავ, ვვაჟობდი,
ქართულებრ შავქენ ნავარდი;
საცა რომ ომი გაჭირდა,
თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი;
დახედე მოხუცებასა,
ეხლა-კი ეგრე დავვარდი!

—

შენისთანა საქმეშია,
ვერ ყოფილა ვერვინ, ვერა;
ვინც რომ დარჩა შენი ურჩი,
შენმა ხმალმა მოამტვერა.

—

გულისა მაგრილობლადა
სიტყვასა ვერვინ დაგვიშლის;
მომეტებული ღვინის სმა
ჭკვა და გონებას შაგვიშლის;
მოყვარეს მტრად გადაგვიქცევს,
დავიდარაბას აგვიშლის.

—

ცხენი მიყვარდა, აბჟარი,
ოთხად ნაჭედი ნალები;
სურვილის ავადმყოფი ხარ,
მოვლენ და გნახვენ ქალები,
ძალიან შორით შაატყობ,
რომელსაც შაებრალები.

—

საწუთროსა სამი ვთხოვე
ენა-პირად ხელოვანი,
ზედ საჯდომად მალი ცხენი,
წინ მინდორი ველოვანი,
გვერდს საჯდომად თეთრი ქალი,
თასით ღვინო ფეროვანი.

*) ოდოში—ნედლი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უღრმესს მადლობას ვუცხადებ მარიამ ქაიხოსროს ასულს კნ. ამირაჯიბისას, რომელმაც არ დაიშურა თავისი შრომა და ჩემ სასარგებლოდ გამართა კონცერტი. ფული 50 მან. უკვე მივიღე.

სტუდენტი ივანე ჯაფარიძე.

ქ. ხარკოვი.

—

ქართულ საერო მუსიკის შეკრების საქმეში დასახმარებლად ქალაქ ალექსანდრეპოლში კაპიტანმა სამსონ ანტონის ძე დუმბაძემ შეაგროვა იქაურ ქართველობაში ოც-დაცამეტი მანეთი და გამომიგზავნა. შემოუწირავთ: ს. ქორქოლაძეს 10 მან; ს. ალექსი-მესხიშვილს 5 მ., თავ. სუმბათაშვილს 3 მან; ალ. ჯავროვს-1. მან; ფრანც თუმანიშვილს 2 მან; გ. ზედგინიძეს 2 მან., სამსონ დუმბაძეს 10 მან. შემომწირველთ უმორჩილესად ვმადლობ.

არტისტი-მომღერალი ფილიმონ ქორიძე

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული.

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

23 სექტემბერს

დუტუ კირშბაიასი, რომელსაც ცხენის ქურდობა ბრალდება.

ნიკოლოოზ კოჩიშვილისა, ქურდობის ჩადენა ბრალდება.

25 სექტემბერს

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ზაქარია ჭელიძისა, მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ეგნატე ტოტაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.

ალექსანდრე მარიამიძისა, რომელსაც კანატოვის ქალის გაუპატიურება ედება ბრალად.

30 სექტემბერს

ხოსია ლომთაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

დავით კალაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენა ბრალდება.


# განცხადებანი

გამოვიდა ახალი წიგნები:

ა) ოქროპირის ღოღადებანი

ფასი: ყდით 20 კაპ., უყდოთ 15 კ.

ბ) ქართული მწერლობა მე-X საუკუნემდე, ფასი 40 კაპ.

გ) Царица Тамара, ფასი 50 კ.

დ) Груз. обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

ე) Истор. груз. церкви, ფ. 40 კ.


*) სიამოვნებით ვეგებებით პატივცემულ ფ. ქორიძის ამ ახალს ნაბიჯს, ე. ი. საერო ხმების ქართლში შეკრებვასა და ვუსურვებთ, რომ მალე ყველა სიმღერები შეაკრიბოს და საზოგადოებაშიაც მეტი თანაგრძნობა მოეპოვებინოს. რედ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე